№ 71 — 1877—1900 — № 71

პარასკევი, 31 მარტი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## ქ. ქუთაისში ექიმი გაბრ. იოს. გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ. წყალტუბოს ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20. (40—140—31)

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი

აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება წევრთა დანიშნულია ამა წლის 29 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

### განსახილველი საგნები:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1-ლი იანვრიდგან 1899 წ. 1-ლ იანვრამდის 1900 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლისათვის სადგურის აშენების შესახებ.

4) სხვა-და-სხვა თხოვნანი და წვრილმანი საგნები. (3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სიფილისური, ვენერიული (სიფილისი) და საშარდის ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პოდპორუჩიკობა: ტენგინის მე-77 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკებს ცაგარელსა და მდივანს და სამურის მე-83 ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს თეთრაძეს.

დანიშნულ იქმნენ: დუშეთის მაზრის ქვიშეთის ნაწილის ბოქაული ფურცელაძე—თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ; ახალქალაქის სამაზრო საპოლიციო გამგეობის კანცელარიის მოხელე ალექსი მიქელაძე—იმავე გამგეობის თარჯიმნად; ბორჩალოს სამაზრო გამგეობის მდივანი მელიქიშვილი—იმავე მაზრის ლორის ნაწილის ბოქაულად.

გადაყვანილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე იასონ ხახუტაშვილი—სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ფოსტალიონები ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა — ნიკოლოზ კვირიკაძე, ბათუმისა—იოსებ ტატიშვილი და ბორჯომისა — ალექსანდრე კაკაბაძე, პირველი სართიჭალის საფოსტო განყოფილებაში, მეორე ბორჯომისა და მესამე ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ბაშნორაშენის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელე გიორგი ცისკარაშვილი—ყაზახის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

გამწესებულ იქმნენ: ფელდშერი დავით ჯავახიშვილი გორის სამაზრო გამგეობის კანცელარიის მოხელედ; აზნაური პავლე ზაალიშვილი—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნენ: თავისისავე თხოვნით: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი გრიგოლ სვანიშვილი და ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი—ალექსანდრე კაკაბაძე.

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 29 მარტს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მის დაარსებიდგან 50 წლის შესრულების დღეს, მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

„ვულოცავ კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებას ნახევარ საუკუნის არსებობას; ვუსურვებ მას ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეობის ზრდასა და განვითარებას; ვისურვებ, რომ მას სასარგებლოდ ემოღვაწოს მეურნეობის საგანთა გამოკვლევისა, სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და მეურნეთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში. ვიხსენიებ რა სიამოვნებით საზოგადოების მუშაობას სამინისტროსთან ერთად, იმედი მაქვს საზოგადოება მომავალშიაც სამინისტროს მხნე თანამშრომელი იქმნება. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი“.

მიწად-მოქმედების მინისტრს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, უგანათლებულესმა თავადმა პეტრე გრუზინსკიმ შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა:

„კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო თავისს მოვალეობადა ჰრაცხს საზოგადოების სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადოს თქვენს მაღალ-აღმატებულებას ამა საზოგადოების კავკასიის მხრის სასარგებლოდ ნახევარ საუკუნის მოღვაწეობის შესრულების დღის მოლოცვისათვის. საზოგადოების საბჭო ჰბედავს და აქვს იმედი, რომ მომავალშიაც არ იქმნება მოკლებული თქვენს განათლებულს მფარველობასა და დახმარებას, რათა უფრო ნაყოფიერად განახორციელოს ცხოვრებაში ის კეთილი ღონისძიებანი, რომელნიც თქვენ მიერ ჯეროვანად იქნება დანახული ამ მხრის კეთილ-წარსამატებლად. რადგანაც მოახლოვდა კავკასიის რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების დღე, საზოგადოებამ მოისურვა, ამ შესანიშნავის დღის სახსოვარ-საყოფელად, გაჰმართოს კავკასიის სოფლის ნაწარმოებათა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საზოგადო გამოფენა, რისათვისაც უკვე შუამდგომლობა აღძრა ამის შესახებ და ამ გარემოებამ აიძულა იგი თავისი 50 წლის მოღვაწეობის დღესასწაული გადაედო იმ დრომდე, ვიდრე ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნება“.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა აუწყა ქალაქის მოურავს: მთავარ-მართებლის კანცელარია მაცნობებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თხოუ-

## ფელეტონი

### პასუხი „კვალს“

(დასასრული *)

„შეიძლება დავუპირდაპიროთ ერთმანეთს: მიწა, მაშინა და მუშა“, ვამბობ მე. ბ-ნი X-ი ცილს მწამებს, ვითომ მე ამით მუშას ვამცირებდე. „ვითომ და მუშა რა ისეთი დიდი ვინმეა, რომ მისი შედარება მიწასთან, მაშინასთან, ხართან და სხვა ასეთ შრომის იარაღებთან არ შეიძლებოდეს! მარქსი ამბობს, რომ მაშინა და ხარი მხოლოდ შრომის იარაღებია და არა ეკონომიური კატეგორიებიო. და რაკი ბ-ნი ვ. წ. მუშას მაშინას უპირდაპირებს, ამავე მოსაზრებით შეუძლიან ხარს, ცხენს და სხ. ასეთ ცხოველებს დაუპირდაპიროს, ე. ი. მუშაც უბრალო შრომის იარაღიაო! ასეთია „ივერიის“ მარქსისტი!“ ოხუნჯობს ბ-ნი X-ი. საკვირველი აზრმოკლეობაა! თუ-კი შრომას არა აქვს თავის-თავად სოციალური ხასიათი, როგორც ზემოდ მოყვანილი მარქსის სიტყვებისაგან სჩანს, მაშასადამე, არც მუშას თავის-თავად. [მუშა კონკრეტული საგანია და რატომ არ შეგვიძლიან დავუპირდაპიროთ სხვა კონკრეტულ საგნებს? წინააღმდეგ ბ-ნ X-ის აზრისა მუშა ერთის მხრივ შრომის იარაღია. როგორც შრომის იარაღი არ წარმოადგენს თავისდათავად ეკონომიურ კატეგორიას, აგრეთვე მუშა. მარქსი პირდაპირ უწოდებს მუშას „წარმოების სუბეკტივ ფაქტორად“. მუშას ეძლევა საზოგადო, სოციალური ხასიათი არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მშრომელია, არამედ იმიტომ, რომ იგი შეკავშირებულ-დამოკიდებულია სხვა მუშასთან და არა-მუშასთან.]

აი კიდევ მარქსის სიტყვები:

„შრომის პროცესსი.... არის მიზნის შესაფერი მოქმედება სახმარებელ ღირებულებათა მოსამზადებლად;... მუდმივი პირობა კაცის არსებობისა, ბუნებისაგან დამყარებული, დამოუკიდებელ ყოველისავე საზოგადო ცხოვრებისაგან, და ამიტომ ერთგვარად კუთვნილი ყველა მის საზოგადო ფორმებისა. ამიტომ ჩვენთვის საჭირო არ იყო განგვეხილა მუშა მის დამოკიდებულებაში სხვა მუშებთან: ჩვენი მიზნისთვის საკმაო იყო განგვეხილა, ერთის მხრით—კაცი და მისი შრომა, და მეორე მხრით—ბუნება და მისი ნივთიერებანი. როგორც პურის გემოს საშუალებით არ შეგვიძლიან შევიტყოთ, ვინ მოიყვანა პური, აგრეთვე არაფერს გვეუბნება უკანასკნელი პროცესსი იმის შესახებ, რა პირობათა შორის წარმოებდა მუშაობა: მონების ზედა-მხედველის სასტიკ ჯოხ ქვეშ, ანუ კაპიტალისტის გამოცადინებულ თვალქვეშ; ასრულებდა თუ არა მუშაობას ცინცინატი, რომელიც თავის ორ „jugera“-ს შეიმუშავებდა ხოლმე, თუ ველური კაცი, რომელიც ქვითა ჰკლავს ტყის ცხოველს“.

(Процессъ труда... есть цѣлесообразная дѣятельность для произведенія потребительныхъ стоймостей;.... [1]) общее условіе человѣческаго существованія, данное природой, независимое отъ какой-бы то ни было формы общественной жизни, а потому одинаково свойственное всѣмъ ея общественнымъ формамъ. Поэтому намъ не было надобности разсматривать работника по отношенію къ другимъ работникамъ: для нашей цѣли было достаточно разсмотрѣть, съ одной стороны—человѣка и его трудъ, а съ другой—природу и ея вещества. Какъ по вкусу хлѣба, нельзя узнать, кто воздѣлывалъ рожь, также мало послѣдній процессъ говоритъ о томъ, подъ какими условіями происходила работа: подъ жестокимъ ли бичемъ надзирателя за рабами, или подъ заботливымъ глазомъ капиталиста; исполнялъ ли ее какой-нибудь Цинцинатъ, обработывающій свою пару jugera, или дикарь, поражающій камнемъ лѣсное животное). [2])

ამგვარად, ბ. X-ო, შრომას თავის-თავად არა აქვს სოციალური ხასიათი. მაშასადამე, როგორ შეგვიძლიანთ დაუპირდაპიროთ შრომა კაპიტალს, რომელიც არის ერთგვარი სოციალური მოვლენა?!.

აი ამიტომ ვამბობდი, რომ ბ-ნ ნ. ჟორდანიას „კაპიტალი“ არ წაუკითხავს-მეთქი, და ვამბობ, რომ არც თქვენ გქონიათ წაკითხული, ბ-ნო X-ო, თუ უკაცრავად არ ვიყოთ ამ სიტყვისთვის.

ვიცი, ბ. X-ო, რომ, ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში სოფიზმს მიმართავთ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. ვიცი იტყვით, ვითომ თქვენ სახეში კონკრეტული შრომაკი არა გქონიათ, არამედ განყენებუ-

*) იხ. „ივერია“ № 70.

[1]) სადაც წერტილებია, იქ ჩემგან არის გამოტოვებული სიტყვები.

[2]) კაპიტალი, ტომი I. §: შრომის პროცესსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს ბარბარე ლორთქიფანიძის სივრცით 32,2 საჟენ მამულის შესახებ, რომელიც იმყოფება მუშტაიდის ბაღისა და საბაღოსნო სასწავლებლის შუა და რომელიც უნდა ჩამოერთვას პატრონს ზემოხსენებულ ბაღისა და სასწავლებლის შუა გზის გასაყვანად, წარედგინოს: 1) გეგმა მიწისა, რომელიც უნდა ჩამოერთვას ბარბარე ლორთქიფანიძისას; 2) საზოგადოდ ჩვეულებრივი ფასი მიწებისა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ზემოხსენებული მამული მდებარეობს; 3) რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს ქალაქის საბჭო, რომ 30,000 მანეთს, როგორც თითონ პატრონმა დააფასა მიწა, სთვლის გადაჭარბებულ ფასად: არის თუ არა შენობები ამ მიწაზედ? 4) რა წოდებას ეკუთვნის მიწის პატრონი? გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს ქალაქის თავს ეს ცნობები რაც შეიძლება, მალე წარუდგინოს ქალაქის გამგეობამ.

⁂ ქალაქში ბაზრობა-ვაჭრობის მოსაწყობ-გასაწესრიგებელ სავალდებულო დადგენილებათა იმ პროექტით, რომლის განხილვასაც შეუდგა ქალაქის საბჭო წარსულ ორშაბათს, 27 მარტს, ქალაქში საბაზრო დღეებად დანიშნულია შაბათ-კვირა დღეები, 23, 24, 30 და 31 დეკემბერი და მთელი ვნების კვირა. ბაზრობა გაიმართება: ვერისა, აბას-აბათისა, თათრის მოედანისა, დესიმონოვისა, კახეთისა, სათივესა, პროვიანტისა, ნიკოლოოზისა, მალაკნისა, ავჭალისა, ნაძალადევისა და დიდუბის მოედნებსა და შუა ბაზარში. სოფლის ხალხისათვის საბაზრო დღეებში სოფლიდგან შემოტანილ სხვა-და-სხვა სანოვაგის გასასყიდად არავითარი გარდასახადი არ იქმნება ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული; სასტიკად იქმნება აღკრძალული ჩარჩებისაგან ქალაქს გარეთ სოფლის ნაწარმოების შესყიდვა იმ აზრით, რომ მერე ფასები მოუმატონ და სანოვაგე გააძვირონ.

⁂ კავკასიის უმაღლეს მთავრობას განუზრახავს ამიერ-კავკასიაში სასოფლო სამკურნალო საქმის შესახებ აწ-არსებულ დებულების შეცვლა. კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას უკვე შეუმუშავებია ამის პროექტი.

⁂ საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ბ-ნ აბელს უკვე გადაუთვალიერებია ქალაქის გამგეობის ყველა ქაღალდები და დავთრები და ეხლა მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას შესდგომია.

⁂ უწმ. სინოდმა დაადგინა დაუნიშნოს ჯამაგირი პატარა სამაზრო ქალაქების მღვდლებსა და მთავრებს. მღვდელს დაენიშნება 300 მანეთი, მთავარს—200 მ. წელიწადში.

⁂ 1889 წელს უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქალაქ ბათუმის ნავთ-სადგურში შემოტანილ და გატანილ საქონელს განსაკუთრებული გადასახადი გააწერონ, ფუთზედ ერთი კაპეიკი. ამ გადასახადმა ათის წლის განმავლობაში ქალაქს 1,500,000 მანეთი შესძინა. ზოგი ფული აქედგან ქალაქმა დახარჯა და ზოგი ჯერ დაუხარჯავი აქვს. მთავრობამ ამ გადასახადის მოკრების ნება ბათუმს ათის წლის ვადით მისცა, წარსულის წლის 3 დეკემბერს ეს ვადა გავიდა. როგორც ეხლა იუწყებიან, მთავრობას ხელ ახლა მიუცია ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობისათვის ამ გადასახადის განახლების ნება ათის წლის ვადითვე.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელის ბრძანებით 3, 4 და 5 აპრილს უნდა დაათვალიერონ ქალაქის ბირჟის ეტლები, ცხენები, ცხენის იარაღი, მეეტლეთა ტანისამოსი და სხვ. ბ-ნი ს. კავალიოვი სთხოვს გუბერნიის ბეითალს ამ დათვალიერებაზედ დასასწრებლად ბეითალიც დანიშნოს.

⁂ სამშაბათს, 28 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ვასილ მამიკონოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებით მამიკონოვს წელიწად ნახევრით დაპატიმრება ჰქონდა გარდაწყვეტილი. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ეს გარდაწყვეტილება.

⁂ ქალაქ გორში მტკვრის ნაპირების გამაგრების საქმე ამ ახლო ხანებში წარედგინება მთავარმართებლის საბჭოს განსახილველად.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ოზურგეთის მაზრის სოფ. ძიმითის, მაკვანეთისა და შემოქმედის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წესდებანი.

⁂ სამშაბათს, 28 მარტს, პოლიციის მე-10 ნაწილში ხარკოველმა, დროებით ნაძალადევში მცხოვრებმა, ფ. ა. ივანოვისამ მიიყვანა მიგდებული ბავშვი მამათა სქესისა, რომელიც ქუჩაში ეპოვნა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

⁂ როგორც გაზეთი „Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, კავალერიის გენერლის ცოლი კნ. მ. ი. ნაკაშიძე აარსებს ახალ ნავთის მწარმოებელ საზოგადოებას. ძირის თანხად საზოგადოებას 500,000 მანეთი ექნება, 2,000 აქციად გაყოფილი. თითო აქცია 250 მანეთი ეღირება.

⁂ სოფ. რომანაში ბალახანის საზღვარზედ ნობელის ნავთის ერთის ჭა-ღრუდგან ამოუხეთქნია ნავთის შადრევანს. შადრევანი ამოდის დრო გამოშვებით და დღეში იძლევა თურმე 10,000 ფუთს ნავთს. ჭა ღრუს სიღრმე 220 საჟენია. ამავე ადგილას კიდევ იმედი აქვთ ორის შადრევნის ამოხეთქვისა.

⁂ ბათუმი. 26 მარტს, საღამოს 8 საათზედ, აქ ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ძირიანად ჰგლეჯდა დიდრონ ხეებს და ტელეგრაფის ბოძებს, ამტვრევდა ფანჯრის მინებს, ჰგლეჯდა სახლის სახურავებს და მიწაზედ ანარცხებდა, ვისაც-კი გარედ მოასწრებდა. რამდენიმე ხის შენობა დაანგრია ერთიანად. დაანგრია, სხვათა შორის, ნოე დოლიძის სახლის ზემო სართული. ქარიშხალმა დიდად დააზარალა ქალაქის მიდამოებიც.

⁂ პოლკოვნიკი ჩიკვაიძე დანიშნულ იქმნა კავკასიის მე-6 მსროლელთა ბატალიონის უფროსად.

⁂ 27 მარტს, ორთაჭალის მახლობლად, შავნაბადისაკენ მიმავალ ბილიკზედ ჰნახეს 15 წლის სულეიმან შაფიევის გვამი. შაფიევი მაჰმადიანთა სასწავლებელში სწავლობდა. ამას წინად სასწავლებელში წიგნები დაკარგულა. შაფიევს გამოუცხადებია მთავრობისათვის, რომ წიგნები მოსწავლემ მ. აღა მიროვმა მოიპარაო. კვირას, 26 მარტს, შაფიევი და სამი სხვა მოსწავლე ორთაჭალისაკენ წასულან და სადამოზედ მხოლოდ სამიღა დაბრუნებულა, შაფიევი იმათთან არა ყოფილა. ნაშუადღევის ოთხ საათზედ უნახავთ ეს მოსწავლენი ორთაჭალასთან. პოლიცია მებნას შესდგომია და მალე უპოვნიათ შაფიევის გვამი ბილიკზედ. რამდენიმე ადგილას გვამს ჭრილობა ჰქონდა და თავიც სულ მოუშორებიათ ტანისაგან. გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს საქმე შაფიევის ამხანაგებსავე ჩაუდენიათ ჯავრის ამოსაყრელად, რად დაგვაბეზღაო. ერთი მათგანი აღა-მიროვი, 15 წლის ბავშვი, პოლიციას უკვე დაუპატიმრებია.

⁂ ოთხშაბათს, 29 მარტს, ტფილისის სობრანიის დარბაზში კნ. სოფიო ამირეჯიბის თაოსნობით გორის მაზრის მოუსავლობით დაზარალებულ სოფლის მცხოვრებთა სასარგებლოდ გაიმართა კონცერტი. კონცერტმა დიდი საზოგადოება მიიზიდა, ასე რომ სობრანიის დარბაზი თითქმის სავსე იყო, და კარგადაც ჩაიარა. განსაკუთრებით ქ-ნმა პაპაიანმა ისეთს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რომ ზოგიერთი ნომრები გაამეორებინეს. აგრეთვე ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება ბ-მა გ. მესხმა იმერული სცენების წაკითხვით.

## ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

26 მარტი

ჩვეულებრივად წელსაც ნაკლებად სჩანდნენ კრებაზედ სამეგრელოს სხვა და სხვა მხრიდგან ჩამოსულნი წევრნი, ალბათ ეგონათ, რომ წელსაც დივიდენდს ვერ მიიღებდნენ, მაგრამ ბანკის ახალ გამგეობას ერთის წლის განმავლობაში ისე კარგად წარუმართავს საზოგადოების საქმეები, რომ არამც თუ დივიდენდი ერგებათ წელს წევრთ, არამედ იმედია შემდეგშიაც კარგად იწარმოვოს საზოგადოებამ.

კრება დაიწყო 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში. 206 წევრთაგან, 75 წევრი გამოცხადდა. საზოგადოების წესდების მე-45 მუხლის ძალით, კრება კანონიერათ იქმნა გამოცხადებული. ბ-ნმა კ. ი. მიქაბერიძემ წაიკითხა სია იმ საგნებისა, რომელიც ამ დღეს კრებას უნდა განეხილა და სთხოვა წევრთ თავმჯდომარე აერჩიათ. ერთ ხმად თითონ ბ-ნი მიქაბერიძე იქმნა არჩეული. ვიდრე წარსულის წლის ანგარიშის განხილვას შეუდგებოდნენ, ხე-ტყის მწარმოებელმა ვაჭარმა გ. საბახტარაშვილმა მიმართა თავმჯდომარეს: რადგან ჩვენის საზოგადოების უმეტესი ნაწილი ქართველ ვაჭრებისაგან შესდგება, რომელთაც რუსული ისე არ იციან, რომ ანგარიში გარკვევით გაიგონ, ამისთვის გთხოვთ ანგარიში ქართულადაც იქმნას მოხსენებულიო.

ესევე ითხოვა წევრთა უმრავლესობამ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ თავადმა ან. ერისთავმა უმეტესობის სურვილი დააკმაყოფილა და, როგორც რუსულად, ისე ქართულადაც გადასცა კრებას 1899 წლის ანგარიში და სარევიზიო კომისიის შენიშვნები. თავმჯდომარემ კრებას საზოგადოების ბევრი საჭირ-ბოროტო საგანი წამოუყენა განსახილველად, საზოგადოება ერთ ხმად დაეთანხმა მას და მადლობა შესწირა გამგეობას მხნე და გულ-მოდგინე მოქმედებისათვის. წარსულის წლის ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ შეუდგნენ მიმდინარე 1900 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას და გამგეობის ერთის წევრის არჩევანს. ამ საგანმა ყველაზედ მეტი კამათი გამოიწვია. ბ-ნნი ე. გაბუნია და ბ. მოსეშვილი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მესამე დირექტორის ადგილი გაუქმებულ იქმნას, მით უმეტეს, რომ საზოგადოებას ცალკე კასსირი ჰყავს. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლიან გავაუქმოთ მესამე დირექტორის თანამდებობა, ხოლო მომავალისთვის კი შეიძლება ამის შესახებ შუამდგომლობა აღვძრათ მთავრობის წინაშეო.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: მიენდოს გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ გააუქმოს მესამე დირექტორის თანამდებობა, ხოლო დანარჩენ დირექტორებს ჯამაგირი მოემატოს; ამ ხელად ახალის დირექტორის არჩევანი გადაიდოს, სთხოვონ ბ-ნ სამანჯის, რომელსაც დირექტორად დარჩენა აღარა სურს, რომ ვიდრე მთავრობისაგან მესამე დირექტორის თანამდებობის გაუქმების ნება რთვას მიიღებენ, დარჩეს ან ისევ დირექტორად ან საბჭოს წევრად.

---

ლი შრომა, რომელსაცა აქვს სოციალური ხასიათი. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო, ნათქვამია. და ეს სოფიზმიც ადვილი გამოსააშკარავებელია.

განყენებული შრომა საალებ-მიცემო ღირებულებაა (МѢНОВАЯ СТОИМОСТЬ) და საალებ-მიცემო ღირებულება კი შეიძლება თვით იყოს კაპიტალი, და არამც თუ იყოს, არამედ საალებ-მიცემო ღირებულება არის ნიშნობლივი თვისება კაპიტალისტურ წესწყობილებისა, როგორც ამბობს მარქსი. „სიმდიდრე საზოგადოებისა, რომელშიაც გამეფებულია კაპიტალისტური წესი წარმოებისა, შესდგება აურებელ სავაჭროსაგან“.

(Богатство общества, въ которомъ господствуетъ капиталистическій способъ производства, является въ видѣ несмѣтнаго скопленія товаровъ). [3])

და „სავაჭრო... წარმოადგენს სახმარებელ ღირებულებას, შეერთებულს საალებ-მიცემო ღირებულებასთან“.

(товаръ представляетъ собою... потребительную стоимость и мѣновую стоимость) [4]).

მაშ რა ნება ჰქონდა ბ-ნ ნ. ჟორდანიას, როცა ამბობდა, რომ მომავალი იმითი განირჩევა თანამედროვე, კაპიტალისტურ წეს-წყობილებისაგან, რომ მაშინ შრომა იქმნება გამეფებული და ახლა კაპიტალიო? განა განყენებული შრომა არ არის თვით კაპიტალი? განა ახლა ცოტას ჰშრომობენ? და განა თანამედროვე შრომა, სოციალურის მხრივ, განყენებული არ არის, ე. ი. გასაცვლელ ღირებულებას არ წარმოადგენს?

შევიძლიანთ გვიპასუხოთ, რომ ბ-ნ ნ. ჟორდანიას შრომის გაბატონება-კი არა ჰქონდა სახეში, არამედ მშრომელის გაბატონებაო. მაგრამ ერთი ეს აგვიხსენით, ვისზე უნდა გაბატონდეს მშრომელი ან და ის, რანაირად შეიძლება შრომის გაბატონება მივიჩნიოთ მშრომელის გაბატონებად? იქნება ბ-ნი ნ. ჟორდანია მშრომელის განთავისუფლების შესახებ ლაპარაკობ? მაგრამ ეს ხომ სულ სხვა საკითხია. მშრომელი განთავისუფლდება არა იმიტომ, რომ ჰშრომობს. ათასმა წლებმა განვლო, რომ მშრომელი მძიმე უღელ ქვეშ ჰშრომობდა და ჰშრომობს. მაშასადამე, შრომა სრულიადაც ვერ აგვიხსნის მომავალს. ის რომ თქვათ, რომ მომავალში იმიტომ იქნება მშრომელი თავისუფალი, რომ იშრომებსო, აბსურდი იქნება.

ერთი რამ არის შესაძლებელი, ე. ი., რომ ბ-ნ ნ. ჟორდანიამ ტერმინები აურია ერთმანეთში, მუშის მაგიერ იხმარა სიტყვა შრომა, მუშის გაბატონების მაგიერ შრომის გაბატონება. რასაკვირველია, მართალი არც მაშინ იქნებოდა, მაგრამ არც ამგვარი არევა შეიძლება მცოდნე კაცისაგან, მეტადრე მარქსისტისაგან, რადგან მარქსმა მეცნიერულ ნიადაგზედ დაამყარა ეს სახელწოდებანი, გამოარკვია რა ნათლად ბევრი ბუნდოვანი ეკონომიური საკითხები. და, როცა თქვენ, ბ. X-ო, იცავთ არა მხოლოდ ცრუ ტერმინებს, არამედ ცრუ აზრებს, ეს მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ უნებლიედ არ მოგდიოდეთ.

სამეცნიერო საგნის შესახებ ბაასს ამით ვათავებ ჯერ ჯერობით.

რაც შეეხება ლიტერატურულ ზრდილობას, მართებულებას, მიკვირს, რომ მე მლანძღველ-მთრეველად გამოგყავართ. მე ბ-ნ ნ. ჟორდანიის პიროვნებას მხოლოდ იმდენად შევეხე რამდენადაც მან თავი იჩინა ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეობაში. მართალია, მას თავხედი ვუწოდე, როგორც ლიტერატორს და საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ ეს სრულიად არა ჰნიშნავს, რომ ისე ვეხებოდე, როგორც კერძო კაცს. თუ-კი მართალია ბ-ნ ნ. ჟორდანიის ლიტერატურული თავხედობა, ნუ თუ უნდა ხელი დავაფაროთ ამ თვისებას?! ნუ თუ უნდა დაფარულ იქმნას ის, რაც საზოგადოებისთვის მავნებელია?! და როცა უმეცარი თავს წინასწარმეტყველად აღიარებს და ბრბოც მას ტაშს უკრავს და გუნდრუკს უკმევს, ნუ თუ არა გვაქვს უფლება, რომ ამგვარ კაცს თავხედი ვუწოდოთ? ჯერ დაამტკიცეთ, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანია უმეცარი არ არის და მას უკან გვითხარით სამდურავი.

და თქვენს „კვალში“ რაც ლანძღვა-გინება მოთავსებულია, ის არაფერი? ნუთუ გგონიათ, რომ „კვალს“ ჰქონდეს ყველას ლანძღვის უფლება ისე, რომ „კვალზედ“ ხმა არავინ ამოიღოს? მიკვირს, რომ ბ ნ ნ. ჟორდანია მწამებს გინების თქმას, ის ბ ნი ნ. ჟორდანია, რომლის პასუხი ბ-ნ ფხას მიმართ წარმოადგენდა ცალიერ ლანძღვა-გინების მორევს და რომელმაც არ ითაკილა ჩემ წინააღმდეგ ისეთი უწმაწურ სიტყვა-პასუხის ხმარება, როგორის ხსენებაც ლიტერატურაში სირცხვილად უნდა მიაჩნდეს ყოველ მართებულს ლიტერატორს.

ვ. წ.

[3]) კაპიტალი, ტომი I. პირველი

[4]) ibid. § 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ ითათბირა კრებამ აგრეთვე მოხელეთა ჯამაგირებისა და ჯილდოს დანიშვნის შესახებ. მართალია, გამგეობისა და საბჭოს აზრით ბანკის მოსამსახურეთ მოგებიდგან ცოტა რამ უნდა მისცემოდათ, მაგრამ კრება არ დასთანხმდა და მარტო ბუხჰალტერსა და მწერალს მოუმატეს ჯამაგირი.

როდესაც მოგების განაწილების შესახებ აღძრულ ლაპარაკის დროს ბ-ნმა ბ. მოსეშვილმა ერთი ფრიად სასიამოვნო საგანი წამოაყენა წინ, მან სთქვა, რომ კარგი იქმნება ბანკის მოგებიდგან რამდენიმე % ი გადაიდოს და ამით ფონდი შესდგეს ფოთში საშუალო სასწავლებლის დასაარსებლადაო. ამ აზრს ყველანი სიამოვნებით მიემხრნენ, გარდა ერთი სენაკელი ვაჭრისა, რომელმაც ბრძანა: „ფოთში რომ პროგიმნაზია იყოს, ჩვენ რად გვეპიტნავებაო“?!...

კრებამ დაადგინა წარსულის წლის მოგებიდგან 448 მანეთი დასაარსებლად განზრახულ საშუალო სასწავლებლის თანხისათვის გადაიდოს და ამ თანხის გასაძლიერებლად ყოველ წლობით ბანკის მოგებიდგან 5% იქმნას ხოლმე გადადებული. დასასრულ კრებამ საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ ძველი წევრები აირჩია.

ი. იანეთელი

## ქუხის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წევრთა კრება.

კვირას, 12 მარტს, კრება იყო სოფ. ქუხში აქ გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობისა. ეს წელიწადი მე 16 წელიწადია ამხანაგობის არსებობისა. მთელის ამ ხნის განმავლობაში ამ ამხანაგობის საქმეებს აწარმოებენ თითქმის თავიდგანვე არჩეული ერთი და იგივე კაცნი. მთავარი ხელმძღვანელი ამ ბანკის მართვა-გამგეობისა ჰბრძანდება ბ-ნი ნესტორ წერეთელი (გამგეობის წევრი). თუ რამდენად გაზრდილა ეს ამხანაგობა და რა ნდობა მოუპოვებია, ამას მისივე ანგარიში დაგვანახვებს. აი ეს ანგარიში:

ანგარიში 1899 წლისა.

1 იანვრისათვის 1899 წლისა ამხანაგობას ჰქონია:

წილის ფული—13,511 მ. 82 კ., მიბარებული ფული 9,537 მ. 74 კ., სათადარიგო თანხა 1,350 მ, გადასატანი თანხა 1439 მ. 76 კ., მოგება 1,539 მ. 73 კ. ჯამი 27 379 მ. 05 კ.

გასესხებული 24,779 მ. 52 კ., ნაღდ ფულად 1874 მ. 53 კ. სარგებლიან ქაღალდებად 245 მ., ქონებად 480 მ. ჯამი 27,379 მ. 05 კ.

1899 წლის.

შემოსავალი

წილის ფული 616 მ. 69 კ., სარგებელი გასესხებულ ფულისა 4,051 მ. 89 კ., ჯარიმა 186 მ. 04 კ., დაბრუნებული ვალი 43,167 მ. 77 კ., მიბარებული ფული 49,429 მ. 52 კ., ნასესხი ფული 2,200 მ., სათადარიგო თანხა 153 მ., სხვა-და-სხვა შემოსავალი 25 მ. 16 კ., გადასატანი ფული 411. მ. 50 კ. ჯამი 100,241 მ. 57 კ.

გასავალი:

წილის ფული 586 მ. 84 კ., დივიდენდად გაცემული 780 მ. 48 კ., სესხად გაცემული 59,821 მ. 50 კ., სარგებელი ვადამდის გადახდილის ფულისა 34 მ. 92 კ., მობარებული ფული 33,398 მ. 22 კ., სარგებელი მობარებულ ფულისა 1961 მ. 25 კ., ნასესხი ფული 2,200 მ., მართვის ხარჯი 515 მ. 07 კ., სხვა-და-სხვა 5 მ., საალებ-მიცემო 700 მ. 04 კ., გადასატანი ფული 365 მ. 01 კ. ჯამი 100,368 მ. 33 კ.

1 იანვრისათვის 1900 წლისა ამხანაგობას აქვს:

წილის ფული 13,541 მ. 67 კ., მიბარებული ფული 25,569 მ. 04 კ., სათადარიგო თანხა 1503 მ., გადასატანი ფული 1486 მ. 25 კ., მოგება 1806 მ. 06 კ. ჯამი 43,906 მ. 02 კ.

გასესხებული 41,433 მ. 25 კ., ნაღდ ფულად 1,747 მ. 77 კ., სარგებლიან ქაღალდებად 245 მ., ქონებად 480 მ. ჯამი 43,906 მ. 02 კ.

კრების უმთავრესს საგანს შეადგენდა განხილვა და დამტკიცება ამ ანგარიშისა. წაკითხვის შემდეგ იგი ერთხმად იქმნა კრებისაგან მიღებული და დამტკიცებული. წმინდა მოგება 1806 მან. და 06 კ. კრებამ ასე განაწილა: 12% დივიდენდად გადასდო, საწევრო ფულის 3% გამგეობის დასაჯილდოვებლად, 5 მან. ამგვარ ამხანაგობათა პეტერბურგში არსებულ კომიტეტის სასარგებლოდ, 10 მან. 99 კაპ. ერთი მოხუცებულის სასარგებლოდ. ყველა სხვა საგნები, წარმოდგენილი გამგეობისაგან, თითქმის უცვლელად მოიწონა კრებამ. მაგალითად, გამგეობის წევრი, ბ-ნი ნ. წერეთელი თხოულობდა, რომ ამ ამხანაგობას ჩაერიცხა თავისს წევრად აქვე არსებული მეორე ამხანაგობა პარგოისა საწევრო ფულის ათასის მანეთის შემოტანით და ათის ათასის კრედიტის მიცემით და აგრეთვე თავდებად დასდგომოდა იმავე ამხანაგობას პარგოის გორათი სხვა ბანკებთან 50 ათასი მან. კალის ასაღებად. კრებამ მიიღო აგრეთვე თავისს წევრად გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობები (ახლად დაარსებული) დანირ-ქვიტირისა და ფარცხანაყანებისა მათგან საწევრო ფულის 100 მან. შემოტანით და ხუთასის მანეთის კრედიტის აღმოჩენით.

ეტყობოდათ, საზოგადოების საბჭოს ზოგიერთი წევრნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საჭირო იყო ახალი გამგეობის არჩევა, რადგანაც ეხლანდელ გამგეობის ორი წევრი მეაბრეშუმეთა ამხანაგობაში ჰმსახურობს და მოუცლელნი არიანო. კრებამ, მოისმინა-რა ეს აზრი, საბჭოს წევრთა აზრი უსაფუძვლოდ სცნო და იგინივე დასტოვა გამგეობის წევრებად.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ეს ამხანაგობა ფულს ასესხებს 10%, თითონ იბარებს 8% და 7%-ად. ამგვარი ამხანაგობა ამ ახლო-მახლოს თითქმის ყველა სოფლებშია — ორი ს. ჯიხაიშში (დიდსა და პატარა ჯიხაიშში), დ. ხონში, მანდხოჯში, დაარსდა იმავე წერეთლის მეცადინეობით, როგორც ზევიდაც მოვიხსენეთ, ს. ქვიტირისა (ხონთან ახლოს) და ფარცხანაყანებში. არსდება ს. მაღლაკშიაც, (წესდება უკვე მოსულია დამტკიცებული).

ი. გო—ძე

## სამეტოქეო გამოფენის გამო
(წერილი ახალ-სენაკიდგან)

როგორც „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, წარსულ წლის ივნისის თვეში ახალ-სენაკში გაიმართა სამეტოქეო გამოფენა ბ-ნ ი. ქუთათელაძის თაოსნობით. ეს პირველი მაგალითი იყო ახალ-სენაკში და აგრეთვე მთელს სამეგრელოში, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც ასამდე იყო სხვა-და-სხვათაგან წარმოდგენილი აბრეშუმის პარკი, ამოხვეული აბრეშუმის ძაფი, ლარაიები და სხვა აბრეშუმის ქსოვილები. შემდეგ გამოფენისა, ამორჩეულ კომისიამ გასინჯა ესენი და მათ შორის რომელიც ღირსეულად იცნეს, გაგზავნეს გასასინჯათ და დასაჯილდოებლად, სადაც ჯერ იყო. მაგრამ მას აქეთ თუმცადა კარგა ხანია, არაფერი ისმის. ყველა დღე-დღეზე მოელის, თუ ვისი ნაწარმოები როგორ მოიწონეს. თუ არა ვცდებით, ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ დაბა-ქალაქში წარსულ წელს ამგვარივე გამოფენები იყო გამართული, ხოლო მოწონებული ექსპონატის სახელები გაზეთებში გამოცხადებული. ამიტომ კარგი იქნება ვიცოდეთ, წარსულ წლის ახალ-სენაკის „სამეტოქო გამოფენაში“ ვისი ნაწარმოები როგორ მოეწონათ?..

ტელეფონი

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ბლუმფონტეინის ახლო-მახლო ბრძოლის ველზედ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ბურებს კვლავ ხელში უჭირავთ წყლის მილები და თავის რაზმებს თანდათან სამხრეთისაკენ ეწევიან, რომ რობერტსს გზა მოუჭრან ზურგიდგან. ჯერ-ჯერობით ინგლისელებს წყალი არ შემოაკლდებათ, შემდეგისათვისკი იმედი აქვთ, რომ ბურებს წყლის მილებს წაართმევენ. უკვე ეჭვს გარეშეა, რომ შეტაკება მალე მოხდება. კლემენსის ჯარი გამოვიდა ბლუმფონტენიდგან და დროებით დაბანაკდა ქალაქიდგან ხუთი ვერსის მანძილზედ. არც ბურებს სძინავთ. მათ 22 მარტს ზარბაზნები დაუშინეს ინგლისის სადარაჯოებს. როგორც სჩანს, ბურებს ასე თავ წვრილად ომი არა ჰსურთ. იმათ უნდათ უფრო მეტის ჯარით შემოუარონ ბლუმფონტენს მარჯვენა მხრიდან.

ხმა დადის, ვითომც დედოფალ ვიქტორიას უბრძანებიათ რობერტსისათვის, რომ მეფეკინგი უეჭველად უნდა დაიფაროთო. ამბობენ, ეს ბრძანება აღსრულებულ იქნება ორის კვირის განმავლობაშიაო. მაგრამ როგორც ვხედავთ, რობერტსის საქმე ვერ მიდის კარგად. 20 მარტს რომატ ლაბამოს ახლო რომ ომი მოხდა, ინგლისელები საშინლად დამარცხდნენ, თუმცა ამ ომში ბურებს ინგლისის ჯარი ორის მხრით ებრძოდა. არც კიმბერლიდგან ისმის სანუგეშო ამბები. ბურები სამის მხრით მისულან ამ ქალაქისაკენ. სატასავით შემოერტყნენ თურმე კიმბერლეის და მხოლოდ სამხრეთით დაახარჩუნეს თავისუფალი ადგილი.

ბურებს რომ წინათვე გამოეჩინათ ასეთი სიმამაცე და თავ გამოდება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ინგლისელები დღეს ორანჟის რესპუბლიკაში არ იქნებოდნენ და კიმბერლეი და ლედისმიტი ვერ ეღირსებოდნენ განთავისუფლებას. რამდენჯერმე ერთი ერთმანეთზედ დამარცხების შემდეგ ბურები დღეს კვლავ იმარჯვებენ, მაგრამ საფიქრებელია, არ დაჰკარგეს დრო ბურებმა ან მათ დღევანდელ გამარჯვებას შეუძლიან-და გადაარჩინოს ომის საწყალი მათდა სასარგებლოდ? ასეა თუ ისე, დღეს ვხედავთ, რომ ბურებს გარდაწყვეტილი აქვთ ან სიკვდილი ან გამარჯვება და ინგლისს ჯერ კიდევ კარგა ხანი მოუხდება ბურებთან ბრძოლა. ომის ველზედ მოულოდნელ საქმის შეცვლას ბევრი იმას აწერს, რომ თვით ბურების უმთავრესს შტაბში მოხდა ცვლილებაო. ჩვენ უკვე ვიცით, რომ პრეზიდენტმა კრიუგერმა დაჰწყვიტა ომის სამუდამო საბჭო და გარდაცვალებულ ჟუბერის ნაცვლად ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნა გენერალი ბოტა, რომლის სიმამაცე და სამხედრო ხერხი არა ერთხელ იყო გამოცდილი ომის ველზედ. ახალი მთავარ სარდალი ბოტა 35 წლის კაცია და უეჭველად შესაძლებელია, რომ ამან შეიტანა ბურების ჯარში ახალი სხივი, რომლის ძალაც ელექტრონის სისწრაფით ჯარის სხვა-და სხვა ნაწილის უფროსებსაც გადაეცა.

ინგლისის გაზეთები ისე თავ-მომწონედ აღარა ჰლაპარაკობენ, როგორც წინედ. აი რასა სწერს ლონდონის გაზეთი „Standard“-ი, „რობერტსი ორანჟელ რესპუბლიკის შუაგულში სდგას, მისი ჯარი რამდენჯერმე აღემატება რიცხვით ბურების ორისავე რესპუბლიკის ჯარს; ამისდა მიუხედავად რობერტს იქ ფეხი ვერ გაუმაგრებია და თვით მდინარე ორანჟეს და მოდერის შუა ადგილებშიაც-კი ეშინიან. მაშ რას მივაწეროთ ის გარემოება, რომ ბურების რაზმები სამხრეთიდგან თვით სატასტო ქალაქთან ახლო დათარეშობენ. ვის სასარგებლოდ გადაწყდება ომი, ამის თქმა შეუძლებელიაო“. ამას ამბობენ ის ინგლისის გაზეთები, რომელთაც მცირე მონაწილეობა არ მიიღეს, რათა რამდენისამე გაუმაძღარ კაპიტალისტის გულისთვის ინგლისი ამხედრებულიყო ბურების რესპუბლიკის წინააღმდეგ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

ინგლისელი კორესპონდენტი გაზ. „Matin“-ისა იუწყება, რომ ერთ ინგლისელს გამოუგონია ახალი საშუალება ბეჭდვისა ელექტრონის შემწეობით. კორესპონდენტის სიტყვით, ამიერიდგან სტამბაში საბეჭდი წამალი ხმარებიდგან გადავარდება. წამლის ნაცვლად ინგლისელს ერთ-გვარი სითხე გამოუგონია; ეს სითხე ქაღალდს უნდა წაესვას, შემდეგ ქაღალდს აწყობილ ასოებზედ დასდებენ, ელექტრონის ტოკს გაატარებენ და გადიბეჭდება ის, რაც საჭიროა. ეს სითხე თორმეტჯელ იაფია თურმე საბეჭდ წამალზედ, ასე რომ წამალი მეტოქობას ვერ გაუწევს.

* * *

ამერიკაში სცხოვრობს ერთი ქალი— სოფიო კრისტიან-რიდინგი. უცნაური ზნის პატრონი ყოფილა ეს ქალი: თოთხმეტ წლიდგან დაწყობილი არც ერთი მიცვალებული არ დაუსაფლავებიათ ისე, რომ ეს ქალი არ დასწრებოდეს. ეს ქალი არც წვიმას, არც თოვლს და არც ტალახს არ ერიდება თურმე და როცა-კი გაიგებს, ამასა და ამას ასაფლავებენო, უეჭველად კუბოს საფლავამდე მიაცილებს ხოლმე. ჯერ-ჯერობით კრისტიანე 6,054 ადამიანის დასაფლავებას დასწრებია. ამ ქალს დღიური აქვს და ყოველ დასაფლავების ამბავს შიგ სწერავს თურმე დაწვრილებით.

* * *

ამ ცოტა ხანში, პარიჟის ერთ ერთ სასამართლოში, გაირჩევა საყურადღებო საქმე: ერთი პარიჟელი მანდილოსანი სასამართლოსა სთხოვს განქორწინებას და მიზეზად შემდეგ მიწერ-მოწერას ასახელებს თავისს ქმრისა და ერთ პარიჟელ მკითხავ შორის ცოლი ამ წელიწად ნახევრის წინად მკითხავთან წასულა თავისს მომავალის შესატყობად. ქმარს გაუგია-რა ეს, უთხოვნია მკითხავისათვის, შემატყობინეთ, რამდენ წელიწადს იცხოვრებს ჩემი ცოლი და, საზოგადოდ, რა მოელის მერმისშიო. არ გასულა სამი დღე, რომ მკითხავისაგან შემდეგი წერილი მიუღია: „ბოდიში ვიხდი, რომ პირველ დღესვე ვერ შევასრულე თქვენი თხოვნა და ვერ გაცნობეთ ის, რასაცა მთხოვდით. ამისი მიზეზი ის იყო, რომ მსურდა სამის დღის განმავლობაში უფრო კარგად და ნათლად გამომერკვია საქმე და ჭეშმარიტება შემეტყობინებინა თქვენთვის და აი ეხლა გატყობინებთ კიდეც... თერთმეტის თვის შემდეგ თქვენ დაქვრივდებით, ხოლო ორის წლის შემდეგ მეორე ცოლს შეირთავთ. თქვენი პირველი ცოლი ქალაქს გარედ გარდაიცვლება. დასაფლავებას აუარებელი ნაცნობნი და მეგობარნი დაესწრებიან. თქვენი მეორე ცოლი მეტად მდიდარი იქნება, თვისის კარგისა და მშვიდის ხასიათით სიცოცხლეს გაგიტკბილებთ და ბევრ სიამოვნებას გაგრძნობინებთ. ცოტაოდენი უსიამოვნება სიდედრისაგან მოგელით. მეორე ცოლთან სულ სამი შვილი გეყოლებათ. გარდაიცვლება თქვენი მეორე ცოლი 67 წლისა ორის წლით თქვენზედ ადრე. ჯვარს სენ-ეტიენ დიუ მონის ეკკლესიაში დაიწერთ და ქორწილს ქილლეს რესტორანში გადაიხდით“. ამ წერილის მიღებამ ძალიან გაახარა თურმე პარიჟელი, მოუთმენლად მოელოდდა თერთმეტის თვის გასვლას; მაგრამ მალე ამ თერთმეტმა თვემაც გაიარა და ცოლი-კი სულაც არ აპირობდა საიქიოს გამგზავრებას. ერთ მშვენიერ დღეს ცოლი ქმრის კაბინეტში ქაღალდებსა სჩხრეკავდა თურმე და აკი რადაც ეშმაკად მოკითხვის წერილიც უპოვნია. მეორე დღესვე ეს წერილი ცოლს მოსამართლესთვის წარუდგენია და უთხოვნია განქორწინება, თან დაუძენია, ამ წერილიდგანა სჩანს, რომ ჩემ ქმარს გულით უნდოდა ჩემი სიკვდილიო.

## შესანიშნავი ტაძარი.

დიდებულ ალავერდის მონასტრიდგან თორმეტ ვერსის მანძილზედ, ალვანის მცირე გორაკზედ, რომელსაც ჰქვიან ოთხთვალისყურე, ლამაზად ამართულია ნაშთი ძველის ეკკლესიისა... ეს ტაძარი აშენებულია რიყის ქვით, უგუმბათოა და შიგნიდგან გალესილია გაჯით. გაჯითვე გალესილი კანკელი. ეკკლესია საკმაოდ კარგად არის შენახული და დახურულია ქვით. შიგ ეკკლესიაში ამბიონის პირისპირ ჩრდილოეთით არის საფლავი და დიდი და გრძელი მატური, რომელზედაც გამოსახულია მღვდელთმთავარი-შემოსილად. ამ მაკურთხეველს ბრგე შეხედულება აქვს. მისი სიმაღლე სამი ალაბია (თვით ქვისა-კი ოთხი). ეს მღვდელთმთავარი ყოფილა პართენი, ამავე ეკკლესიის აღმშენებელი და მისთვის წყაროს გამმართავი. მღვდელთ-მთავარს თავი დავარცხნილი აქვს მშვენივრად, (თავ-შიშველად გამოქანდაკებულია და ლამაზი წვერი ამშვენებს მის სასიამოვნო შეხედულებას.

ჩრდილოეთის კედელში ჩატანებულია ქვის კუბე. ზევით კამარაში, რომელიც სამალავად ყოფილა, ერთი მომცრო ქვაა, ამ ქვას ზედ აწერია ჩართულის ასოებით: ღ~ო შ~ე პართენი (ღმერთო, შეიწყალე პართენი). გარედგან, კარების კამარის ქვაზედ აწერია: „ქ: ეჰა შენ სახიერო ღმერთო და ყოველთა კეთილთა მიზეზო, შენ მიერითა შეწევნითა ჩვენ ხარჭაშნელ ეფისკოპოზმან და მოძღვართ-მოძღვართან პართენოზ და თანა შემწეობითა ძმისა ჩვენისა პეტრესითა აღვაშენე ეკკლესია ესე მეორედ მოსვლისა სულთა ჩვენთა საოხად და ძმათა და ძმის წულთა ჩემთა სადღეგრძელოდ და თვით მეცა მდებარე ვარ ადგილსა ამას და განვედ სოფლისა ამისგან მაისის ბ-სა, ქ~სა უა. მოწმუნენო ღვთისანო ჩვ ნ~ვისა შენდობა ღ~ის სიყვარულისათვის“. ქორონიკონი უა უდრის 1713 წელს. ზეპირ-გადმოცემით ეკკლესია აშენებულია ღვთაების სახელობ ზედ. თუმცა ეკკლესია მივარდნილს ადგილშია, მაგრამ მლოცავები მაინც ბლომად დადიან.

წყარო, რომელიც ამავე მღვდელთ-მთავარს გამოუყვანია, ჰშორავს ეკკლესიას $1/3$ ვერსით. იგი დაბლობშია და ორი აუზი აქვს. აუზები ერთმანეთზე დაშორებულია სამი ოთხი საჟენით. გადმოცემით, ერთი აუზი რომ აივსებოდა, მერე წყალი მეორე აუზში გადადიოდა. ეხლა მოქმედობს მხოლოდ პირველი აუზი და მეორე-კი დაყენებულია. დაყენებულის აუზის ზემოდ არის ერთი ბრტყელი ქვა, რომელზედაც ხუცურ-მხედრულით ჩართულად ვკითხულობთ: „უფალნო: ჩემნო: რომელნიცა: ადგილსა ამას: მიემთხვივნეთ: და უფალო დაიცევ: ორსავე შინა ცხოვრებასა წყაროსა: ამისგან სმიდეთ: მოიხსენებდეთ. უდ~რტ-პართენი ბოლო ძმა მისი პეტრე ხარჭშნელ მოძღვართ მოძღვრისა პართენის: რომელმან ვყავ ადგილსა ამის დამაკვიდრებელად შვილთაშვილამდე უკუნისამდე აღუშენეთ თვისთა ადგილი ესე საზრდელისა მოსარეწელად:“

დასასრულ ვისურვებ, ამ შესანიშნავს ნაშთებს მიაქცევდნენ ჯეროვანს ყურადღებას აქაური ბლაღოჩინები, რომელთაც თუ იშუამდგომლეს ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის წინაშე, უეჭველია მალე განაახლებენ პართენიოს ეპისკოპოსის წმიდა სიძველე; ამით აღსრულდება ანდერძი ყოვლად სამღვდელო პართენი-

სა, რომელიც ამბობს: ეგეე ადგილი ეს დასამკვიდრებლად ჩემდა შეილითი შეილამდე“.

მორჩილი რაფიელ ბარამიძე

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „სასსოვრად ქართულის თეატრის 50 წლის არსებობის დღესასწაულისა“,—გამ. არაბამის მიერ. წიგნაკი ერთ აბაზად ჰღირს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 მარტი.

**ლონდონი.** Daily Mail“-ს ატყობინებენ 8 აპრილს ბრანდფორტიდგან (ეს ამბავი ლორენცო-მარკეზიდგან მოსულა): „დეპეშა დაამარცხა გუშინ ინგლისელები მერკატცფონტეინთან. 600 ინგლისელი მოკლულა და დაჭრილია; 900 კიდევ ტყვედ წაიყვანეს ბურებმა; წაართვეს აგრეთვე ინგლისელებს 12 ურემი. ბურების მხრივ 5 მოკლული და 9 დაჭრილია.“

იქიდგანვე 10 აპრილს „Daily Mail“-ს ატყობინებენ: „აქაურ ნიდერლანდიის რკინის გზის სამმართველოს ამტკიცებს, რომ დეპეშა მოვიდა კრონშტადტთან ბურების გამარჯვების შესახებაო. ამასთან 900 კაცი ტყვედ წაუყვანიათ. ბურების ზარალი მცირეა“.

„Daily Mail“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა პრეტორიიდგან: „ოფიციალურ ცნობებით, უკანასკნელ ბრძოლაში 7 აპრილს ბრანდფორტის სამხრეთით 600 ინგლისელი იქმნა მოკლული და დაჭრილი, 800 კიდევ ტყვედ წამოყვანილი“.

ბურების მხოიდგან სხვა მიღებული დეპეშები ამბობენ, რომ ბურებმა გაიმარჯვესო. ბრძოლა მერკატფონტენთან მომხდარა. ბურების ზარალი მცირეა. ბურებს უფროსობდა დევეტი.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს შეატყობინა 12 ¼ საათამდე არავითარი ამბავი არ მიუღია ინგლისელების მერკატცფონტენთან და მარცხების შესახებ.

**ლონდონი.** „Morning Post“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან 9 აპრილს, რომ ცხარე ბრძოლა შანცების გასამართავად მაღლობ ადგილებზედ ქალაქის გარშემო. სამეზობლოდ მოავლი მოკლულ კაცი იქმნა გაწვეულია.

„Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ დურბანიდგან 10 აპრილს: „აქ მოდის კარგა ბლომა რიცხვი ბულერის ჯარისა. ამბობენ, რომ მალე ამ ჯარს გემებზე დაასხამენ კაპის ახალშენში გასაგზავნადაო.“

„König“-ის გემით გუშინ უკვე წავიდა ბეირაში 12 ინგლისელი ოფიცერი“.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ შვარტსკოპფონტეინიდგან 9 აპრილს: „მტერმა ჯარი აქ არის. იგი ბოსგოფიდგან ათმისამდე ვერსით 10 მილის მანძილზე დაბანაკდა. კავალერიამ ლამისფეხოსთან რეკოგნოსცირება მოახდინა, სადაც ბურების მცირე რაზმებს შეხვდა. ბურები გაიქცნენ.“

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ 9 აპრილს პრეტორიიდგან, რომ იმ სამის კაცის საქმის გარჩევის დროს, რომელთაც სახელმწიფო მაღნების ინჟინრებზე მუნნიკზე თავს დასხმა და ფულის გამოტყუება ჰბრალდებათ, მუნნიკმა სთქვა, რომ რეიცის მოწერილობის თანახმად, ვუბრძანე 25 მაღნისთვის ნაღმები შეეწყოთო.

**ბლუმფონტეინი.** გატეკრი ინგლისის ბრუნდება. იმის ადგილას დანიშნულ იქმნა მე-II დივიზიის უფროსი გენერალი გერმისდონ.

**ალივალნორტი.** გუშინ ინგლისელებმა ვეპენერიდან 11 კაცი მოუკლეს და 41 დაუჭრეს. დღეს ბრძოლა განახლდა. ინგლისელები ჯერჯერობით იცავენ თავიანთ პოზიციას.

**ვაშინგტონი.** სამხედრო გემს „Bennington“-ს ებრძანა ჩინეთში წასვლა.

როგორც ნიუ-იორკელი გაზეთი „Journal“-ი იუწყება, ინგლისის მთავრობა ამერიკაში 30,000—35,000 ცხენსა ყიდულობს.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება 10 აპრილს ბლუმფონტენიდგან: „უკანასკნელ დღეებში მტერმა დიდი ძალები გამოიჩინა; ერთი რაზმი ბურებისა მდ. ორანჟის ჩრდილოეთით სდგას, ალივალნორტის მახლობლად; მეორე—თავს ესხმის ვეპენერის მცირეხნოვანი მცველებს. ზარალი მცირეა. ბურების დიდი ზარალი მისცეს“.

30 მარტი

**ბლუმფონტეინი.** გენერალი გერმსიდონ-კი არა, გენერალი პოლ კარიუ დანიშნულა მე-11 დივიზიის უფროსად.

**ბრიუსელი.** წარმომადგენელთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა წარმოთქვა, რომ მეფე სიცოცხლეში ბელგიის სახელმწიფო საფუძველს თავის უძრავ ქონებასაო. ამ ამბის შესახებ მთელი პალატა ტაშის კვრით მიეგება.

**პარიზი** პალატა. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს კაჯენი (შემარჯვენე) კრიტიკულად შეეხო მთავრობის საზოგადო პოლიტიკას. ვალდეკ-რუსსო იცავდა თავის პოლიტიკას. „რომლის წყალობითაცაო, სთქვა მან, ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანობა დაუბრუნდა და გამოჩენა დაამოწმებს ახლად შეძენილ ზნეობრივ მშვიდობიანობასაო“. მეტისმეტი სიყვარული უთხრა მთავრობამ, რომ იგი სოციალისტთა ეტლის მოგვბას სცდილობსო. პალატამ, 286 ხმის უმრავლესობით 211 წინააღმდეგ, დაადგინა დაჰბეჭდოს და ყველგან გააკრას ვალდეკ-რუსსოს მიერ წარმოთქმული სიტყვა.

**პრეტორია.** უკანასკნელ ცნობებიდგან ჩანს, რომ ელანდსლაგტეთან ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. აქ ამბობენ, რომ ბადენ პოუელი მაფეკინგში დაიჭრაო.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა იცნობება: „ბულლერი მაუწყებს, რომ მტრის ჯარი დასცემია თავს მარჯვენა მხრიდგან. ბრიტანიის არტილერიამ იძულებულ ჰყო გაჩუმებულიყო ბურების ზარბაზნები. ბურებს არაფრის განუხორციელებიათ ბრძოლა. ინგლისელებისა მოუკლავთ 4 კაცი და დაუჭრიათ—8“.

**ლედი-სმიტი.** ზარბაზნების სროლამ დღეს სამ საათს გასტანა. ბურებმა სროლა დაიწყეს ექვსის დილის ზარბაზნიდგან, რომელნიც წინად მიმალული ჰქონდათ, და ყუმბარებს ესროდნენ ბრიტანიის მთელს ბანაკს. გემის ზარბაზნებმა ინგლისისამ საპასუხო სროლა ასტეხეს და, როგორც ჰფიქრობენ, ბურების ერთი ზარბაზანი უმაქნის ჰყვეს. ამასობაში ბურები სცდილობდნენ გვერდიდგან დასცემოდნენ თავს ინგლისელებს მარჯვენა მხრიდგან, მაგრამ ინგლისელებმა ეს განზრახვა ჩაუშალეს. ორი ზღვაოსანი—არტილერიის მსახური მოკლულია. ინგლისელებს ზოგიერთი სხვა ზარალიც მოუვიდათ. ხმა დადის, რომ ბურების ჯარის ერთი რაზმი გამოჩნდა ელანდსლაგტედგან სამხრეთ-დასავლეთის მხრიდგანაო.

**ლედი-სმიტი.** 29 მარტს დილით, ბურებმა ზარბაზნების სროლა დაუწყეს ელანდსლააგტესთან ბრიტანიის ბანაკს სამის მხრივ, ერთი-ერთმანეთისაგან კარგა მანძილზედ მოშორებით. არავითარი ვნება და ზარალი არ მოუყენებიათ. ცხენოსანმა და ამ ხედრებულმა ქვეითა ჯარმა გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ მტერს დიდი ჯარი ჰყოლია და საუცხოოდ მოუმართავს თხრილები საბრძოლველად. გემის ზარბაზნებმა საპასუხო სროლა დაუწყეს ბურებს. „გრძელი ტომი“ ბურებს ისევ სიმაგრეზედ მოუმარჯვებიათ.

**კოლსბერგი.** საზღვარზედ მომხდარ უწესოებათა გამო რობერტსმა პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც უცხადებს კაპის ახალშენის ჩრდილოეთ ოლქების მცხოვრებლებს, რომ თუ სამტრო რამ მოქმედება შევამჩნიე კიდევ ვისმე, თავაზას არ გავუწევ და სასტიკად აღვასრულებ სამხედრო დროის კანონებსაო.

### შემოწირულება

ახალქალაქში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მიღებულია კიდევ ბ-ნ ქორჩაშვილისაგან 2 მან.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, აგრეთვე ჩემის თხუთმეტის ამხანაგის მხრივ „კრებულის“ რედაქტორს, რომელმაც უსასყიდლოდ დაგვითმო „კრებული“.

კავკასიის პირველ საპიორნის რაზმის ტელეგრაფის მოხელე, ჯარის-კაცი ალექსანდრე კუპუხიძე

### სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

1 აპრილი.

საქმე ანტონ გელაშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1489 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

არტემ მირაქოვისა, რომელსაც გაძარცვა ბრალდება.

თედორე დანელიასი, რომელსაც გაძარცვა ჰბრალდება.

მიხეილ ზარიძისა, რომელსაც სიყალბე ჰბრალდება.

გაბო გებუაძისა, რომელსაც ყალბის ვერცხლის ფულის კეთება ჰბრალდება.

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

დიოდიმე ჯინორიასი, დათა კორძახიასი და მარინე რუბენიასი, რომელთაც ფიცით ცრუ მოწმობა ჰბრალდებათ.

ივანე კოკაშვილისა, რომელსაც მამის მოკვლა ჰბრალდება.

ილია ბეჟანაშვილისა და ივანე წილაკაშვილისა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

## განცხადებანი


ამ წლის პირველ აპრილიდგან

სად. ქარელიდან დ. ცხინვალამდე

**ივლის ომნიბუსები**

კაცის თავზე ფასი 90 კაპ. ომნიბუსი ქარელიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათს. ცხინვალიდან წამოვა დილის შვიდ საათსა და იქმნება ქარელს ათის ნახევარზე.

ომნიბუსების პატრონნი: აბელ გალსტოზაშვილი და თ. ა. ნ. ცაცაშვილი.

(10—6.—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საათფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის საათფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—89)


### ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში (ამ განყოფილებაში მიიღებიან 9—11 წლისანი) და პირველ კლასში (10—12 წლისანი) დანიშნულია ამა წლის 25 და 28 აპრილისათვის; მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები რვა წლიდგან დაწყებული უეგზამენოდ.

სწავლის ფასი წლიწადში: მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში—80 მან.; უფროს განყოფილებაში—100; პირველ კლასში—120 მან.

სწავლა ამ წლის **სექტემბრიდგან** დაიწყება.

სწავლა დამთავრებულთ შემდეგი უფლებანი ენიჭებათ: 1, სამხედრო ბეგარის გადახდის დროს სარგებლობენ პირველის ხარისხის შეღავათით; 2, უმაღლეს სასწავლებელში და სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს ისეთივე უფლება ეძლევათ, როგორც რეალურ სასწავლებელში სწავლადამთავრებულთა აქვთ; 3, საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ეძლევათ პირად საპატიო მოქალაქის წოდება, ამას გარდა ვინც კარგად დაამთავრებს სწავლას—კომერციის კანდიდატის წოდება და საჩუქრადაც ოქროსა და ვერცხლის მედლები ეძლევა.

თხოვნები უნდა შეტანილ იქმნას დირექტორის სტატსკი სოვეტნიკის

მაქს ოსიპის ძის ფიშერის სახელზედ.

თხოვნასთან უნდა იყოს საბუთის ქადალდები წოდებისა და ყვავილის აცრის შესახებ და დაბადებისა და მონათვლის მოწმობა. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1); იქვე მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს ეგზამენების პროგრამები და ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდება. (5—6.—5)


პუშკინის ფოტოგრაფია

**ა. ს. ნორდშტეინისა,**

რომელიც 1892-დან 1899 წლამდე რონისის ფოტოგრაფიას განაგებდა,

ხვეთებს ყოველ-გვარ ფოტოგრაფიულ საქმეს.

სურათების გადაღება შეიძლება ყოველ დროს, მიუხედავად ამინდისა.

სამხედრო წოდების კაცთა და მოსწავლეებს ნაკლები სასყიდლი გამორთმევთ.

ტფილისი, პუშკინის ქ., წერეთლის სახლი, თამამშევის ქარვ. პირდაპირ.

(30—44—20)